



სტრატეგიის, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

41

2015 წლის ზაფხულის სოციალური
პროტესტი სომხეთში

რევაზ განჯილაძე



ექსპერტის აზრი

2015



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

რევაზ ბაჩიანიძე

**2015 წლის ზაფხულის სოციალური
პროტესტი სომხეთში**

41

2015



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7960-3

2015 წლის ივნისის ბოლოს მასმედიის ყურადღება მიიპყრო მასობრივმა პროტესტმა სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქში. ზოგიერთ გაზეთში, მათ შორის მოსკოვში გამო-
მავალშიც კი, გამოჩნდა ასეთი სათაურები: „ახალი მაიდან –
ერევანში?“, „ანტირუსული პროტესტი სომხეთში“ და ა.შ.

თითქოს იყო რაღაც მსგავსება იმ ვითარებასთან, რომელიც შარშანდინ დაიწყო კიევში, მაგრამ ყველა, ვინც ცოტა რამ იცის სომხეთის შესახებ, სკეპტიკურად განეწყო ასეთი შორსმიმავალი ანალოგიების მიმართ.

პროტესტი ძირითადად სოციალური ხასიათისა იყო, ერთგვარი პოლიტიკური ელფერით.

უკვე შარშან სომხეთში გაჩნდა გარკვეული უკმაყოფილება ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რისი ფაქტობრივი შედეგი იყო სომხური დრამის საგრძნობი დე-
ვალვაცია, ფასების ზრდა, უმუშევრობის მატება. რეალურად კი ასეთი ტენდენციების მიზეზი უფრო მეტად ქვეყნის გარეთ დევს, ვიდრე შიგნით.

საქმე ისაა, რომ სომხეთის მოსახლეობის შემოსავლის საგრძნობ ნაწილს შეადგენს სავალუტო გადმორიცხვები საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციიდან (საიდანაც ტრანსფერტების დაახლოებით 80 პროცენტი შემოდიოდა და შემოდის) და, ნაკლებად, უკრაინიდან (საიდანაც ასეთმა ფინანსურმა ნაკადმა მკვეთრად იკლო სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო). საერთო ჯამში, შრომითა მიგრანტებმა 2013 წელს 1,2 მილიარდ დოლარზე მეტი გადმორიცხეს სომხეთში, მომდევნო წლებში კი – ნაკლები.

რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 2010 წლის აღწერამ აჩვენა, რომ იქ სომხური წარმოშობის მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღწერა არასრულფასოვანი იყო – 6 მილიონზე მეტმა ადამიანმა არ მიუთითა თავისი ეროვნება – ვარაუდობენ, რომ სომხების რაოდენობა რუსეთში აღრიცხულზე ორჯერ მეტი უნდა იყოს. მათი საგრძნობი ნაწილი დროებითი შრომითი მიგრანტია,

რომელიც სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს ფაქტობრივად არჩენს ყოველთვიური გადმორიცხვებით.

სომხეთის რესპუბლიკაში იმავე 2010 წელს ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ იქ 2,9 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც 300 ათასით ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც არსებული აღრიცხვა აჩვენებდა. ეს ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ ბევრად მეტი იყო წასული, ვიდრე ეგონათ. შრომითი მიგრანტების „ნერტილოვანი ფინანსური ინექციები“ ერთგვარად არბილებდა სოციალურ ფონს სომხეთში, საიდანაც „ჭარბ მუშახელს“ შეეძლო უვიზოდ გამგზავრება და მუშაობა რუსეთის ფედერაციაში. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის თითქმის მესამედი სიღარიბის ზღვარს დაბლა იმყოფება.

ყირიმის ანექსიის გამო 2014 წლიდან რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებულმა საერთაშორისო ეკონომიკურმა სანქციებმა მკვეთრად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შემცირდა შრომითი მიგრანტების დასაქმების საშუალება, შესაბამისად, იკლო მათმა შემოსავალმაც და ტრანსფერტების მოცულობამ. ეს დაეცყო ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას (მათ შორის საქართველოსაც), საიდანაც რუსეთში სამუშაოდ ბევრია წასული.

რაც შეეხება სომხეთში მასობრივი პროტესტის პირდაპირ მიზეზს, ეს იყო „საზოგადოებრივი მომსახურების რეგულირების სახელმწიფო კომისიის“ (Государственная комиссия по регулированию общественных услуг Армении) გადანყვეტილება ა. ნ. 1 ივლისიდან ქვეყანაში ელექტროენერჯის ტარიფის თითქმის 17 პროცენტით გაზრდის შესახებ. ამან მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რადგან რიგითმა ადამიანებმა სავსებით ლოგიკურად მიიჩნიეს, რომ დენის გაძვირებას მოჰყვება ფასების საყოველთაო მომატება, რომ ასევე შეიძლება გაძვირდეს რუსეთიდან შემომავალი ბუნებრივი აირი, რომელიც საყოფაცხოვრებო მიზნით გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ირანიდან შემოსული აირი მხოლოდ ელექტროგენერაციას ხმარდება: როდესაც ირანიდან გაზსადენის მშენებლობა დაიგეგმა, რუსული „გაზპრომის“

შვილობილი კომპანიის „არმროსგაზპრომის“ დაჟინებით მილის დიამეტრი მხოლოდ 700 მილიმეტრით განისაზღვრა იმისათვის, რომ ირანულ გაზს არ გაენია კონკურენცია რუსული გაზისათვის. ირანული გაზით ამუშავებენ მხოლოდ თბოელექტროსადგურებს და გამომუშავებული ელექტროენერჯის საგრძნობი ნაწილი ისევ ირანს მიეწოდება.

ელექტროენერჯის ტარიფის შეცვლა მოხდა კომპანია „სომხეთის ელექტროქსელების“ [Компания “Электрические сети Армении”] მოთხოვნით. კომპანია არის ელექტროენერჯის ყიდვისა და გაყიდვის მონოპოლისტი სომხეთში. ის შეიქმნა 1997 წელს და 2002 წელს მოხდა მისი პრივატიზაცია, როდესაც მისი აქციების 100 პროცენტი შეიძინა ბრიტანულმა კომპანიამ Midland Resources Holding Ltd. 2006 წლის ივნისში კი კომპანია მთლიანად გადავიდა რუსული კომპანია „ინტერ-რაო-ეეს“-ის [«ИНТЕР РАО ЕЭС»] მფლობელობაში. მისი ხელმძღვანელი რუსეთის მოქალაქეა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთის ეკონომიკის ძირითადი მაღლობები რუსულ კომპანიებს აქვთ დაკავებული.

ცნობას სომხეთში ახლო მომავალში დენის გაძვირების შესახებ მოჰყვა საყოველთაო მასობრივი აღშფოთება. ძირითადად ახალგაზრდებმა, რომელთა სოციალური სოლიდარობა მომავალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის საწინდრად შეიძლება მივიჩნიოთ, შეიძლება ითქვას, სტიქიურად გამოიყვანეს ქუჩაში ათეულ ათასობით ადამიანი, რომელთაც გადაკეტეს ერევნის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი – ბაგრატიანის გამზირი.

ხელისუფლების თავდაპირველ მცდელობას, ძალით დაეშალა მომიტინგეები, და 200-მდე ადამიანის დაკავებას კიდევ უფრო გაძლიერებული პროტესტი მოჰყვა. ამიტომაც პრაგმატულად მოაზროვნე სომხეთის ხელისუფლებამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: დაკავებულები გამოუშვეს და დაიწყო კომპრომისის ძიება.

საბოლოოდ, პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მიიღო გადაწყვეტილება, გადაევადებინა ელექტროენერჯის ტარიფის შეცვლა, ხოლო კომპანია „სომხეთის ელექტროქსელების“

აუდიტის შედეგების გამოქვეყნებამდე კომპანიისათვის ზარალის ანაზღაურება სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო.

ამ ნაბიჯმა პროტესტის მონაწილეები გახლიჩა: ერთი ნაწილი დაკმაყოფილდა კომპრომისით, ნაწილი კი ისევ განაგრძობს სადღელამისო პიკეტს, თუმცა მისი საპროტესტო პოტენციალი შესუსტდა.

ამასობაში, 4 ივლისის ერევნის გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ცნობით, კომპანია „სომხეთის ელექტროქსელებმა“ კონტრ-იერიში განახორციელა და მიმართა სასამართლოს, რათა იძულებით გადაახდევინოს სომხეთის სამრეწველო სანარმოებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. მაგალითად, ერევნის ქარხანა „ნაირიტს“ კომპანიის 1,2 მილიარდი დრამი (დაახლ. 60 მილიონი ლარი) მართებს. მისი მოვალეები არიან „რაზდან ცემენტი“, „ვანაძორ ქიმპრომი“ და სხვა ქარხნები, რომელთაც ჯამში მილიარდზე მეტი დრამის ელექტროენერგია მოუხმარეს და მისი საფასური არ გადაიხადეს.

საერთოდ, რატომ გაჩნდა აზრი, რომ პროტესტს „ანტი-რუსული“ ხასიათი აქვს?

ყველას ახსოვს ამ წლის დასაწყისში სომეხი ხალხის მძაფრი რეაქცია, როცა ქ. გიუმრიში განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზის მთვრალმა მოსამსახურემ სომხური ოჯახი ამოხოცა. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთაც ზოგჯერ მართლაც დაჰკრავდა ანტი-რუსული ხასიათი. ამიტომ ახლაც ზოგს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროტესტს ანტირუსული მიმართულება აქვს, რადგანაც პროტესტის ძირითადი გამღიზიანებელი – „სომხეთის ელექტროქსელები“ – რუსული კომპანიაა.

ეს შთაბეჭდილება, შესაძლოა, ახლოს იყოს რეალობასთან, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: ყოველ შემთხვევაში, ზედაპირზე ანტირუსული განწყობა არ ჩანს.

სომხეთის გეოპოლიტიკური კოდი, ანუ ხელისუფლები-სა და ხალხის კონსენსუსი საგარეო საფრთხეებისა და ამ საფრთხეებისათვის წინ აღდგომის შესახებ გულისხმობს, რომ საფრთხე სომხეთს ელის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან: მთიანი ყარაბაღის გადაუწყვეტელი პრობლემა მუდმივად

ქმნის აზერბაიჯანთან სამხედრო კონფლიქტის ალბათობას. ამ საფრთხეების დაძლევის პრაქტიკულად ერთადერთ საშუალებად სომხეთი მიიჩნევს დაყრდნობას „მოკავშირეზე“, თუნდაც ანგარებიანზე – რუსეთის ფედერაციაზე. სომხეთის საგარეო-პოლიტიკური არჩევანი შეზღუდულია და ამით კრემლი მაქსიმალურად სარგებლობს.

როდესაც 2013 წლის სექტემბრის დამდეგს სომხეთის ხელისუფლებამ წინა სამი წლის განმავლობაში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისათვის დიდი რუდუნებით მზადება მოულოდნელად შეცვალა „ევრაზიულ კავშირთან“ შეერთებით, ეს არ ყოფილა ერევანში მიღებული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების იძულებითი ხასიათი ყველასათვის ნათელია.

საპროტესტო აქციების დროს ტელევიზორში ვხედავდით უამრავ სომხურ დროშას, მაგრამ არც ევროკავშირის და არც რუსეთის, მით უმეტეს, ამერიკული და სხვა დროშები არავის გამოუტანია.

უნდა ითქვას ისიც, რომ პროტესტის პოლიტიკური კომპონენტი სუსტადაა გამოხატული. მასობრივი გამოსვლების ორგანიზებაში ოპოზიციურ პარტიებს მონაწილეობა არ მიუღიათ და რამდენადაც ცნობილია, ამ პარტიების წარმომადგენლები პროტესტის მონაწილეებმა ახლოს არ გაიკარეს.

საერთოდ, პოლიტიკური პარტიების ავტორიტეტი სომხეთში საკმაოდ დაბალია. ოპოზიციური პარტიებიც კი პარლამენტში ხშირად არიან წარმოდგენილი ოლიგარქებით, რომელთაც ხალხის ინტერესების დაცვაზე ბევრად მეტად ანუხებთ საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვა. ამ თვალსაზრისით სომხეთი დიდად არ განსხვავდება სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან.

არ არის გამორიცხული, რომ სახალხო პროტესტმა სომხეთში წარმოაჩინოს ახალი, ახალგაზრდა ლიდერები.

რაც შეეხება სომხეთში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობას საქართველოსათვის, ის მინიმალურია. ჩვენ, რასაკვირველია, გვირჩევნია, რომ ჩვენი კარის მეზობლები კარგად ცხოვრობდნენ, არ ჰქონდეთ სოციალური და ეკონომიკური

პრობლემები – როდესაც ერთი მეზობელი გაჭირვებულია, ეს, საბოლოოდ, სირთულეებს უქმნის მეორე მეზობელსაც.

მაგრამ, რამდენადაც გეოპოლიტიკური შემადგენელი სომხეთის პროტესტს თითქმის არა აქვს, საქართველოზე ის პირდაპირ, როგორც ჩანს, არ ზემოქმედებს.